პროექტი

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 179-ე მუხლის შესაბამისად საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი კახიანისა და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (№07-3/200; 21.06.2018) „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 179-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 8 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი კახიანი - საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) გიორგი ვოლსკი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გურამ მაჭარაშვილი - საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

დ) გენადი მარგველაშვილი - საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ მდივანი;

ე) რომან გოცირიძე - საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;

ვ) ნატო ჩხეიძე - საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ თავმჯდომარის მოადგილე;

ზ) ლელა ქებურია - საპარლამენტო ფრაქცია „ევროპული საქართველო - რეგიონების“ თავმჯდომარის მოადგილე;

თ) სალომე ზურაბიშვილი - დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე

ქუთაისი

_____ 2018 წ.

№